პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-11 წელი

№ 77 (779) | კვირა, 26 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 30 კაპ.

ტანკისტის დღე

დღეს საბჭოთა ხალხი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები ზეიმით აღნიშნავენ ტანკისტის დღეს. ამ სადღესასწაულო დღის აღნიშვნა 8 წლის წინათ დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩვენი ჯავშანსატანკო და მექანიზებული ნაწილების მიერ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში მოპოვებული სახელოვანი გამარჯვების, აგრეთვე ტანკმშენებელთა გმირული შრომის აღსანიშნავად.

ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელებამ უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ჩამორჩენილი დარგების სწრაფი განვითარება. ამასთან დიადი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ზრუნავდნენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, ჯარის ყველა სახეობათა და მათ შორის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ნაწილების განვითარებისათვის. ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები აღჭურვილი იყვნენ და არიან საუკეთესო ტანკებით, შესანიშნავი მექანიზმებით და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალული რიგითი და მეთაურთა შემადგენლობით.

ჩვენი დიადი ქვეყნის, საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების სერიოზული გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი, როცა თავით ფეხებამდე შეიარაღებული ჰიტლერელთა ურდოები ვერაგულად შემოიჭრნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებაზე საყვარელი სამშობლოს დასაცავად მონოლითურად დაირაზმა დევ[illegible]რი საბჭოთა ხალხი. სამამულო [illegible]ის პირველ პერიოდში საბჭოთა არმიის ნაწილები აქტიურ სტრატეგიულ თავდაცვას ეწეოდნენ, ისინი ქანცავდნენ მოწინააღმდეგეს, ემზადებოდნენ გენერალური შეტევისათვის. მიუხედავად ჰიტლერელთა ტანკების რიცხვობრივი უპირატესობისა, საბჭოთა ტანკისტებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანიის სატანკო შენაერთებს, მძლავრი კონტრდარტყმით უპასუხებდნენ მათს თავხედურ მოძალებას. ჩვენი ტანკმშენებლების გმირული შრომის შედეგად სამამულო ომის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საბჭოთა არმიის სატანკო ნაწილები აღიჭურვნენ შესანიშნავი ტექნიკით. სამამულო ომის ფრონტზე გამოჩნდნენ მძლავრი საბჭოთა ტანკები, რამაც დააჩქარა ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა ქვეყნის გამარჯვება.

სამამულო ომში საბჭოთა არმიის ისტორიული გამარჯვება სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ჩვენი მთავრობისადმი საბჭოთა ხალხის ერთგულების ჭეშმარიტი დადასტურება იყო. ნათლად გამოვლინდა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ცხოველმყოფელობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას განუხრელად მიჰყავს ჩვენი ხალხი დიადი მომავლისაკენ—კომუნიზმისაკენ. პარტია იბრძვის საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ამ მშობლიურ ზრუნვას ჩვენი ადამიანები უპასუხებენ საწარმოებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე მოპოვებული წარმატებებით, რითაც განამტკიცებენ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას.

ასრულებენ რა პარტიისა და მთავრობის მითითებებს, საბჭოთა შეიარაღებული ძალები ფხიზლად იცავენ საბჭოთა ქვეყნის წმიდათაწმიდა საზღვრებს, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებით შრომას, ხელს უწყობენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვებას.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ვალია მეტი იმუშაონ საქართველოში საავტომობილო და მოტოსპორტის განვითარებისათვის, რაც ერთგვარად ხელს შეუწყობს უშიშარ, ყოველი დაბრკოლების გადალახვისათვის მზადმყოფი სპორტსმენების აღზრდის საქმეს. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ კიდევ სათანადოდ არაა განვითარებული ეს სახეობანი. ამის მიზეზი ისაა, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები განიცდიან საჭირო მანქანებისა და მწვრთნელების ნაკლებობას.

საბჭოთა ფიზკულტურელები მხურვალედ მიესალმებიან ჩვენს მამაც ტანკისტებს, რომლებიც საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებასთან ერთად ეუფლებიან ფიზკულტურასა და სპორტს, საბჭოთა არმიის პირველობაზე მოწყობილ შეჯიბრებებში აღწევენ მაღალ სპორტულ-ტექნიკურ შედეგებს.



სურათზე: ფიზკულტურის გაკვეთილი თბილისის მე-4 საშუალო სკოლაში.

თბილისის „დინამოს" კალათბურთელების გამგზავრება

24 სექტემბერს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი — თბილისის „დინამოს" ვაჟთა კალათბურთელთა გუნდი მოსკოვში გაფრინდა, საიდანაც იგი ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად ეგვიპტეს გაემგზავრა.

თბილისელ კალათბურთელთა გუნდი ეგვიპტელ სპორტსმენებთან შეხვედრებში გამოვა შემდეგი შემადგენლობით: სპორტის დამსახურებული ოსტატები ო. ქორქია და ნ. ჯორჯიკია, სპორტის ოსტატები ვ. ქლენტი, ლ. ინწკირველი, ა. კილაძე, გ. აბაშიძე, ჯ. ნიჟარაძე, დ. გოძიაშვილი, გ. ბახტურიძე, ვ. გვანცელაძე და სხვ.

გუნდთან ერთად გაემგზავრა მწვრთნელი სპორტის ოსტატი გ. ავალიშვილი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვ. ჯაფარიძე.

„სპარტაკის" ჩემპიონატი

24 სექტემბერს ფიზკულტურელის პარკის წყალცომარდობის სადგურში მოეწყო ფინალური შეხვედრები „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე წყალბურთში.

მესამე საპრიზო ადგილის მოპოვებისათვის საინტერესო ბრძოლა გაიმართა მოსკოვისა და სოხუმის გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა დედაქალაქის სპორტსმენთა გამარჯვებით ანგარიშით 4 : 0.

საზოგადოების ჩემპიონობა უნდა გამოერკვია კიევისა და ლენინგრადის წყალბურთელთა შეხვედრას. თამაში უკრაინელი სპორტსმენების უპირატესობით მიმდინარეობდა და მათ მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 5 : 3.

„სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა კიევის გუნდი. მეორე ადგილზეა ლენინგრადი, მესამეზე — მოსკოვი, მეოთხეზე — სოხუმი.

ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონზე

სოფიაში ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონზე მიმდინარეობს საერთაშორისო შეჯიბრება კრივში, რომელშიც მონაწილეობენ პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთისა და სსრ კავშირის გუნდები. პირველ დღეს უნგრეთის გუნდმა მოუგო ჩეხ სპორტსმენებს. შეხვედრის ანგარიშია 6:4. თავგამოდებით იბრძოდნენ ბულგარელი მოკრივეები ევროპის ჩემპიონ პოლონეთის გუნდთან. მაგრამ ჩემპიონმა შეხვედრა მოიგო დიდი ანგარიშით — 9:1. საბჭოთა გუნდმა თავისი პირველი შეხვედრა ჩაატარა უნგრეთის კოლექტივთან და გაიმარჯვა 8:2. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრის ანგარიშია 5:5.

დიდი ინტერესი გამოიწვია პოლონეთისა და სსრ კავშირის კოლექტივების შეხვედრამ. შეჯიბრების დაწყებამდე პოლონელ მოკრივე კუკერს მიაკუთვნა გამარჯვება, რადგან მისი მოწინააღმდეგე სტოლნიკოვი 20 გრამით მეტს იწონიდა, ვიდრე ეს საჭიროა უმჩატესი წონის მოკრივისათვის. სტეპანოვ-მურავსკის შეხვედრა ჩატარდა საბჭოთა სპორტსმენის უპირატესობით, რომელმაც მოწინააღმდეგე ორჯერ ჩააგდო ნოკდაუნში. შეხვედრა მოიგო სტეპანოვმა. მეშჩერიაკოვისა და პოლონელ ნედყევეცკის შეხვედრაში გაიმარჯვა პოლონელმა. შეხვედრის საერთო ანგარიშია 8:2 პოლონეთის გუნდის სასარგებლოდ. უნგრეთისა და ბულგარეთის მოკრივეების შეხვედრაში გაიმარჯვეს ბულგარელებმა — 6:4. საბჭოთა გუნდმა მოუგო ჩეხოსლოვაკიას — 7:3.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს რინგზე გამოვიდნენ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა პოლონელთა გამარჯვებით—6 : 4. უნგრეთის გუნდმა მოუგო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოლექტივს — 7 : 3, საბჭოთა მოკრივეებმა დაამარცხეს ბულგარეთის გუნდი — 8 : 2.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა პოლონეთმა, მეორე — სსრ კავშირმა, მესამე — ბულგარეთმა.

მსოფლიო გუნდური პირველობა

დიდი ინტერესი გამოიწვია მერვე ტურმა. საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ იუგოსლაველებს. ბოტვინიკმა ძლიერად ჩაატარა პარტია გროსმაისტერ პირცთან და გაიმარჯვა. რთული პოზიციური ბრძოლა გაიმართა გროსმაისტერ გლიგორიჩ-სმისლოვის შეხვედრაში. თუმცა პარტიის გადადებისას სმისლოვის პოზიცია უკეთესად გამოიყურება, მაგრამ მოგების გზები არ ჩანდა. მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ბრონშტეინმა მოუგო გროსმაისტერ ტრიფუნოვიჩს, ხოლო გელერმა განიცადა დამარცხება ოსტატ ფუდერერთან. მატჩის ანგარიშია 2,5 : 1,5 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

მეცხრე ტურში საბჭოთა გუნდი შეხვდა დასავლეთ გერმანიის მოჭადრაკეებს. ამ დღეს თავი ისახელეს სმისლოვმა და კერესმა. სმისლოვმა შმიდტთან პარტიაში უკვე დებიუტში ხელთ იგდო ინიციატივა. იერიშის განვითარებით და მოხდენილი კომბინაციით აიძულა გერმანელი მოჭადრაკე დანებებულიყო. კერესმა სიცილიურ დაცვაში დარგის წინააღმდეგ მიმართა მ. ჩიგორინის სისტემას, განავითარა ძლიერი შეტევა და გაიმარჯვა.

ბრონშტეინი რთულ თამაშში სვლების მოფიქრებაზე ბევრ დროს ხარჯავდა და უკვე შუა თამაშში ცაიტნოტში აღმოჩნდა. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ბოტვინიკი გროსმაისტერ უნციკერთან ფრანგულ დაცვაში, მძიმე მდგომარეობაში მოექცა. მალე პაიკიც წააგო. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა მეთოდურად პარტია ეტლების ენდშპილში გადაიყვანა და იშვიათი სიზუსტით ითამაშა. საბჭოთა მოჭადრაკეებმა კიდევ ნახევარი ქულა ჩაიწერეს. შეხვედრის ანგარიშია 3 : 1.

მეათე ტურში ჩეხოსლოვაკიასთან მატჩში საბჭოთა გროსმაისტერებმა მოიგეს, მხოლოდ ერთი პარტია. კერესმა უკვე მე-20 სვლაზე დაამარცხა შაიტარი. სმისლოვ-პახმანის, ფილიპ-ბრონშტეინისა და ფიხტლ-გელერის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, საბჭოთა გუნდმა შეაგროვა 30,5 ქულა და უკვე უზრუნველყო თავისთვის პირველი ადგილი.



ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საქართველოს ჩემპიონთათვის და რესპუბლიკის პირველობაზე მეორე-მესამე ადგილზე გამოსულთათვის შემოიღო ჟეტონები სპორტის ყველა სახეობაში.

სურათზე: ჟეტონები საქართველოს პირველობაზე გამარჯვებულთათვის. მარცხნივ ჩემპიონის ჟეტონი.

◆

ფიზიკური კულტურის სწავლება ჩინეთში

ჩინეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები და სპორტსმენები გულდასმით სწავლობენ საბჭოთა სპორტის მოწინავე გამოცდილებას, რომელიც მათ დიდად ეხმარება ფიზიკური კულტურის სწავლებაში.

რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტა ფიზიკური კულტურის სწავლება სასწავლებლებში მოაწყოს საბჭოთა კავშირის სასწავლო პროგრამების მიხედვით. ამ მიზნისათვის ყველა მსხვილ ადმინისტრატიულ რაიონში მოეწყო ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები.

ეროვნული

სპარტაკიადა გრძელდება

თანდათან იზრდება ინტერესი დედაქალაქის XVI საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადისადმი. შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივების თითოეული სპორტსმენი ცდილობს საჭირო ქულა მოუტანოს თავის საწარმოს და თავისი წვლილი შეიტანოს საპატიო ადგილის მოპოვებაში. რამდენიმე ასეული მუშა სპორტსმენი მონაწილეობდა მძლეოსანთა შეჯიბრებაში. გეგმით ორ დღეში უნდა დამთავრებულიყო შეჯიბრება სპორტის ამ სახეობაში, მაგრამ მონაწილეთა სიმრავლემ კიდევ ერთი დღით გააგრძელებინა ხელმძღვანელებს ეს ღონისძიება.

სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ გამოვლინდნენ ახალი ჩემპიონები მუშა სპორტსმენთა შორის. ეს საპატიო წოდება ვაჟთა შორის ბირთვის კვრაში წილად ხვდა სატრიკოტაჟო კომბინატის წარმომადგენელს ა. ჩარგეიშვილს. ქალთა შორის ბირთვი ყველაზე შორს ჰკრა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტსმენმა ნ. რეტოვამ, მანვე გაიმარჯვა ყუმბარის ტყორცნაში.

ფეხსაცმლის ფაბრიკის სპორტსმენთა გამარჯვებით აღინიშნა ქალთა რბენა 400 მეტრზე. გაიმარჯვა ნ. სკაჩკოვამ. ვაჟებს შორის 1.500 მეტრზე რბენაში პირველი იყო კ. სამოდუროვი (კალინინის სახელობის ქარხანა). სიგრძეზე ხტომა ვაჟთა შორის მოიგო ლ. ნიკოგოსოვმა (ტტს-ი). იგი 6 მეტრსა და 2 სანტიმეტრზე გადახტა. ყუმბარის მტყორცნელ ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა ი. ლუგინეცი (კიროვის სახელობის ქარხანა).

პირველ ჯგუფში გუნდური პირველობა მიეკუთვნათ 26 კომისრის სახელობის რაიონის სპორტსმენებს, რომლებმაც 14.874 ქულა მოაგროვეს. მეორე და მესამე საპრიზო ადგილები მოიპოვეს ტტს-ისა და კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტსმენებმა. მეორე ჯგუფში გაიმარჯვა მარგარინის ქარხნის კოლექტივმა.

მსროლელთა გუნდური პირველობის პროგრამაში იყო სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან. შეჯიბრებაში, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა „დინამოს“ სასროლო ტირში, გაიმარჯვეს 26 კომისრის რაიონის კოლექტივმა. მეორე ჯგუფში მონაწილე გუნდებს შორის ყველას აჯობეს ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მსროლელებმა.

„პიშჩევიკის“ და კიროვის პარკის სპორტმოედნებზე უკვე დაიწყო შეხვედრები ფრენბურთსა და კალათბურთში.

დღეს დაიწყება შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთსა, ქართულ ჭიდაობასა და ველოსპორტში.

• • •

სურათზე: შეჯიბრება სროლაში.

რაიონის ჩემპიონი

თვენახევარს გრძელდებოდა თელავის „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც კოლმეურნეობათა 9 გუნდი მონაწილეობდა. გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ წინანდლისა და შალაურის ფეხბურთელები. შეხვედრა დამთავრდა წინანდლის კოლმეურნეთა გამარჯვებით, ანგარიშით 6:0. შემდეგ შეადგინეს „კოლმეურნის“ რაიონული ნაკრები გუნდი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სარაიონო პირველობის გათამაშებაში და პედინსტიტუტის ფეხბურთელებთან ერთად მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება.

ამ გუნდების შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 1 : 1. მეორე ნახევარში კოლმეურნე ფეხბურთელებმა ისარგებლეს რა სტუდენტთა არაკოლექტიური თამაშით, მოწინააღმდეგის კარში კიდევ 5 ბურთი გაიტანეს და მოიპოვეს რაიონის ჩემპიონობა.

ნ. ცერცვაძე

სპორტულ საზოგადოებებში

◆

«ტრუდი»

„ტრუდის“ რესპუბლიკურმა საბჭომ ჩაატარა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლასა და ფრენბურთში ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გარდამავალ თასზე.

მსროლელთა გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 18 კოლექტივი. პროგრამაში იყო სროლა წოლითი მდგომარეობიდან.

შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს I გუნდი, რომელმაც 500 შესაძლებლიდან 404 ქულა დააგროვა. მეორეზეა — ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მეორე გუნდი, მესამეზე — თვალსაჩინო ხელსაწყოების ფაბრიკის სპორტსმენები.

ფრენბურთელთა შეჯიბრებაში ვაჟთა შორის გარდამავალი თასი მოიპოვეს 26 კომისრის სახელობის ქარხნის სპორტსმენებმა, ქალთა შორის გაიმარჯვა კალინინის სახელობის ქარხნის გუნდმა.

«ნაუკა»

„ნაუკას“ ცენტრალური საბჭოს ფეხბურთელთა 1954 წლის პირველობის გათამაშებაში, რომელიც დნეპროპეტროვსკში ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, დნეპროპეტროვსკის, ოდესის, კიევის, სვერდლოვსკისა და სხვა ქალაქების 16 გუნდმა.

ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა გუნდმა, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენებისაგან, დაამარცხა ნოვოჩერკასკის (6 : 1), კიშინიოვის (7 : 1), პენზისა (1 :0) და მოსკოვის (5 : 2) გუნდები და ლენინგრადსა (0 : 2) და დნეპროპეტროვსკთან (2 : 3) დამარცხების შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი მოიპოვეს ლენინგრადის, მეორე — მოსკოვის გუნდებმა.

ჭიდაობაში გამარჯვებულნი

ამას წინათ გორის საჭიდაო სარბიელზე დამთავრდა ქალაქის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

ქალაქის 1954 წლის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს პედინსტიტუტის მოჭიდავეებმა. მეორე ადგილზეა „დინამოს“ კოლექტივი. წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს გ. ეგნატაშვილმა, ა. მიხანაშვილმა („დინამო“), ი. ახალკაციშვილმა (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), გ. პაპიტაშვილმა, გ. ამირხანოვმა, გ. ნავროზაშვილმა, ქ. უნდილაშვილმა (პედინსტიტუტი).

გ. ყველაშვილი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საინტერესო ბროშურა

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება კარგად მოიქცა, როდესაც ფიზიკური კულტურითა და სპორტით დაინტერესებულ მკითხველს მიაწოდა რსფსრ-ის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ პ. ა. რუდიკის ნაშრომი „საბჭოთა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ნაწილია“. ბროშურა წარმოადგენს მოსკოვში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამას.

ბროშურის პირველ თავში განხილულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებანი ფიზიკურ აღზრდაზე. ცნობილია, რომ მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ ფიზიკურ აღზრდას, როგორც ადამიანის ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთ საშუალებას და მას კომუნისტური აღზრდის განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ.

ნაშრომში ვრცლადაა მოცემული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, 1918 წლის აპრილში, ეწყობა საყოველთაო-სამხედრო სწავლება, რომლის ამოცანას, საბჭოთა ადამიანების სამხედრო მომზადებასთან ერთად, ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის მთელი საქმის ორგანიზაცია წარმოადგენდა.

ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა კომკავშირის III ყრილობამ (1920 წ), რომელმაც ყველა კომკავშირული ორგანიზაციის წინაშე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ღონისძიებათა ფართოდ გაშლის აუცილებლობის ამოცანა დასახა. 1923 წელს საკავშირო ცაკის დადგენილებით იქმნება ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო, ხოლო ადგილებზე — საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან—ფიზკულტურის საბჭოები. 1948 წლის 27 დეკემბრის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა კომუნისტური პარტიის დიდი ზრუნვა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმის ყოველმხრივ [illegible] ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად გაშლაზე.

ამის შემდეგ ავტორი გადადის ფიზიკური აღზრდის თეორიის მეთოდიკისა და ტექნიკის განხილვაზე. როგორც ცნობილია, ჩვენში ფიზიკური აღზრდა ემყარება მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას, აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მატერიალისტურ მოძღვრებას უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედების შესახებ, მოწინავე საბჭოთა პედაგოგიკის პრინციპებსა და საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მოწინავე გამოცდილებას. პროფესორი პ. ა. რუდიკი მოკლედ გადმოსცემს აკადემიკოს ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიურ მოძღვრებას, იქვე იხილავს პროფესორ ნ. ა. ბერნშტეინის იდეალისტურ, ანტიპავლოვურ „თეორიას“ და მკაფიო მაგალითებით ცხადყოფს ამ ცრუმეცნიერული „თეორიის“ უვარგისობას.

ბროშურის შემდეგ თავში მოცემულია საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეების მ. ი. კალინინისა და ა. ა. ჟდანოვის, პროლეტარული ლიტერატურის სიამაყის ა. მ. გორკის, საბჭოთა პედაგოგიკის ფუძემდებლების — ნ. კ. კრუპსკაიასა და ა. ს. მაკარენკოს შეხედულებები ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ.

ავტორი ბროშურის მთელ რიგ გვერდებზე ერთმანეთს უპირისპირებს საბჭოთა და ბურჟუაზიულ სპორტს, იძლევა სწორ დასკვნებს და მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის საბჭოთა სპორტზე, მის მოწინავე იდეებზე.

ბროშურის მთავარი ნაკლია ის, რომ მასში საბჭოთა სპორტსმენების მიღწევები შემოფარგლულია მხოლოდ 1952 წლით. ეს გასაგებიცაა, რადგან ნაშრომი რუსულად გამოიცა 1953 წელს, ხოლო ქართულ ენაზე 1954 წელს და ამდენად ეს ორი სპორტული სეზონი მასში ვერ მოხვდა. მაგრამ, მთარგმნელს ქართული გამოცემისთვის უნდა დაერთო მიმოხილვა ზემოაღნიშნულ წლებში საბჭოთა სპორტსმენების წარმატებების შესახებ, რაც სრულყოფილს გახდიდა ამ მეტად საინტერესო ბროშურას.

ბ. დარსაძე

მოაწყეს კალათბურთის მოედანი

გურჯაანის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ფიზკულტურის მასწავლებლის შ. არუთინაშვილის ხელმძღვანელობით სკოლის ეზოში მოაწყეს კალათბურთის მოედანი.

ი. ოდიშელიძე

ცუდი მომარაგება თუ...

— რით შეგიძლია გაგვიმასპინძლდე?

— გვაქვს შემწვარი ქათამი, მწვადი... ყოველნაირი ღვინო, კონიაკი...

— არა! — მოკლედ მოუჭრა ახალგაზრდამ, რომელსაც მკერდზე უბრწყინავდა საქართველოს ჩემპიონის ნიშანი. ჯიბიდან კვების ტალონი ამოიღო და მაგიდაზე დადო. — სპორტსმენებისათვის განკუთვნილი კერძი მოგვიტანეთ.

ხასიათწამხდარი ოფიციანტი გაბრუნდა. არ ეგონა თუ შეცდებოდა ამ ჭაბუკებში. კარგი მუშტრები მომივიდნენო ფიქრობდა. ზლაზვნით მოუტანა წყალწყალა ბორში და კატლეტი, რომელშიც ხორცს პური სჭარბობდა. შემდეგ ბორჯომის წყალი მოითხოვეს სპორტსმენებმა.

— ალბათ, კუჭი გტკივათ, თორემ თქვენისთანა ვაჟკაცებს როგორ ეკადრება ასეთი სასმელი, ღვინო უნდა დალიოთ ბიძიებო, ჯანზე მოხვალთ. — არ სცხრებოდა ოფიციანტი. როცა სპორტსმენებმა დაჟინებით მოითხოვეს ბორჯომის წყალი, უარიც დაჟინებითი მიიღეს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს 40-ზე მეტი სპორტსმენი კარგახანია იკვებება აქ. მოჭიდავეები, შტანგისტები, მოკრივეები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ რესტორან „სიცოცხლის“ დირექციის მიმართ.

აქ ვერ ნახავთ სპორტსმენებისათვის გათვალისწინებულ მენიუს. იშვიათადაა რძე, კაკაო, კარაქი. ხიზილალა, კვერცხი და მწვანილეული ხომ დიდი ხანია არავის უნახავს. შაქარი რა არის, შაქარსაც არ აძლევენ სპორტსმენებს.

— აქ რესტორანია და არა საჩაიე, — მწყრალად ამბობენ რესტორნის მესვეურები.

იყო შემთხვევები, როდესაც სპორტსმენებზე ძველი და უხეირო კერძები გასცეს, რომელმაც ძალოსნების გ. კოშაძისა და ა. გალოიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედა.

— რა ვქნათ, რითაც გვამარაგებენ, იმით ვუმასპინძლდებით სპორტსმენებს. კარგა ხანია არ მიგვიღია კარტოფილი, ხილი, სოსისკი, კარაქი. მარცხენა სანაპიროს ტრესტის ხელმძღვანელობა თავს არ იწუხებს ამ საქმეზე — თავი იმართლა საყვედურით მისულ სპორტსმენების წინაშე დირექტორმა გ. აგიაშვილმა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადისათვის მზადების მრავალი მონაწილე მიმაგრებულია აგრეთვე „დინამოს“ სტადიონზე არსებულ „ვოენტორგის“ სასადილოზე. იქ შესვლისთანავე წავაწყდით ასეთ სურათს: ერთი მაგიდის ირგვლივ გაცხარებით კამათობდნენ ხანში შესული და ახალგაზრდა კაცი. ორივე აღელვებული იყო. ეტყობოდათ ერთი-მეორის საწინააღმდეგო აზრს ამტკიცებდნენ. ახალგაზრდა — სპორტსმენი იყო, ხანში შესული — სასადილოს გამგე. ამ უკანასკნელს არავითარ შემთხვევაში არ სურდა დათანხმებოდა სპორტსმენს, რომ სასადილოში ყველაფერი რიგზე არაა, საქმეში ჩავერიეთ. მეზობელ მაგიდაზე მოსადილის ჯერ კიდევ ხელუხლები კერძიდან (რა თქმა უნდა მისი თანხმობით) ხორცი ამოვიღეთ და მებუფეტე ა. მელქონიანს ავაწონინეთ.

— 20 გრამია! — გვითხრა მან.

მენიუთი კი ხორცის წონა ბორშში 35 გრამი უნდა ყოფილიყო.

— შეცდომაა, მზარეულს ალბათ, ორი ნაჭერის მაგივრად ერთი ჩაუგდია კერძში. — განაცხადა სასადილოს გამგემ. დავუშვათ ეს ასეა, მაგრამ ასეთ შემთხვევებს, რომ ხშირად აქვს ადგილი? ბუფეტში იშვიათად ნახავთ ხორცის ნახევრადფაბრიკატებს, სასადილო დარბაზში მაგიდებზე არაა ჭიქები, ხელსაწმენდები, საფერფლეები. განიცდიან ჭურჭლის ნაკლებობას. შემჩნეულია ერთი მიუტევებელი ფაქტი. ერთხელ გაყიდულ პურს, რომელთა ნაწილი სპორტსმენებს ხელუხლებელი რჩებათ მაგიდაზე, სამზარეულოში აჩარისხებენ, აბრუნებენ ბუფეტში და ხელმეორედ ჰყიდიან.

საჩივრისა და წინადადებათა წიგნში მრავლადაა იმის დამადასტურებელი ფაქტები, თუ როგორ ექცევიან მომხმარებლებს სასადილოს მუშაკები. მიმდინარე წლის 2 მაისს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თანამშრომლები მებუფეტე მელქონიანს უსაყვედურებენ მომხმარებლების აბუჩად აგდებას. ფიზკულტურელთა საკავშირო პარადის მონაწილენი ი. ნიკურაძე, რ. ბექანიძე და ზ. მახარაძე მიმტან ე. ფამენკოვას უსაყვედურებენ უხეშობას. ასეთი ფაქტები მრავალია. დირექციას კი დღემდე არც ერთისათვის არ გაუცია პასუხი.

სამასამდე სპორტსმენი, მწვრთნელი და მათი მომსახურე პერსონალი ენერგიულად ემზადებიან ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადისათვის, ხელისუფლება ათი ათასობით მანეთს ხარჯავს მათს წვრთნაზე, კვებაზე. აღნიშნული სასადილოების გამგეებმა კარგად იციან ამ დიდი ღონისძიების მნიშვნელობა, მაშ რატომ არ უწყობენ ხელს სპორტსმენთა კვების გაუმჯობესებას, მათ ხომ იციან ასეთ კრიტიკულ მომენტში თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენთა რეგულარულ წვრთნას? აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებულ სასადილოებს მეტად ცუდად ამარაგებს მარცხენა სანაპიროს სასადილოების ტრესტი და „ვოენტორგი“.

ვ. ჟუშიტაშვილი,
ო. გელაშვილი.



★

საქართველოს ალპინიზმი იშვა, განვითარდა და დავაჟკაცდა კავკასიონზე. საბჭოთა ალპინიზმის არსებობის მანძილზე მრავალი შესანიშნავი ასვლა მოაწყვეს ჩვენმა მთასვლელებმა. კავკასიონზე იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ მწვერვალს, რომელზეც ფეხი არ დაედგათ ქართველ მთასვლელებს. უშბა და დიხთაუ, შხარა, ჯანღა და მრავალი სხვა ტექნიკურად უძნელესი და ურთულესი მწვერვალი მრავალჯერ იქნა აღებული. შხელდა-უშბისა და კავკასიონის დიდი ტრავერსები, რომლებიც 1950-52 წლებში ჩატარდა, ქართველი მთასვლელების მიღწევათა ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენდა.

ამ ასვლების შემდეგ ბუნებრივად დაისვა კითხვა თუ რა გზებით უნდა გვევლო შემდეგში. ეჭვი არ იყო ჩვენც უნდა მიგველო მონაწილეობა მთასვლელობის სრულიად ახალი დარგის ათვისებაში — ეს იყო სიმაღლოვანი ანუ 6.000 მეტრზე უფრო მაღალ მწვერვალებზე ასვლა. მითუმეტეს, რომ თითქმის ყველა ქვეყნის მთასვლელების ძირითადი ყურადღება აქეთკენ იყო მიმართულ[illegible]ეთივე მდგომარეობა იყო საბჭოთა ალპინიზმშიაც.

ჩვენს ქვეყანაში სიმაღლოვან მწვერვალებზე ასვლა სულ უფროდაუფრო ფართოდ ინერგებოდა. დაპყრობილ იქნა პამირისა და ტიანშანის ქედების უმაღლესი მწვერვალები (ასვლები ლენინისა და სტალინის სახელობის მწვერვალებზე, ხანთენგრიზე და სხვ.)

ჯერ კიდევ 1953 წლის შემოდგომაზე დაიწყო მზადება საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიციის მოსაწყობად პამირის მთებში. სიძნელეები ცხადია დიდი იყო. ჩვენს მთასვლელებს უნდა ემოქმედათ მათთვის სრულიად უჩვეულო პირობებში, როგორც კლიმატურად, ისე სიმაღლის თვალსაზრისითაც. საჭირო იყო ისეთი საჭურვლის შოვნა, როგორიც კავკასიონის მწვერვალებზე ასვლის დროს არ იხმარებოდა. (სპეციალური ჩექმები — შეკელტონები, მ[illegible]თბილი საძილე ტომრები, ზე[illegible]ქმელი და სხვ.) და ბოლოს საჭირო იყო სპეციალური წვრთნის ჩატარება.

1954 წლის ზაფხულის დასაწყისისათვის მზადება ძირითადად დამთავრდა. შედგა ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი მთამსვლელებით. ექსპედიციაში შევიდნენ გამოცდილი მთასვლელები და ახალგაზრდებიც: აქ იყვნენ დიდი ალპინისტური გამოცდილების მქონე ა. ივანიშვილი (უფროსის მოადგილე), ცნობილი მთასვლელი, რომელმაც ჩაატარა კავკასიონის მწვერვალების დიდი ტრავერსი წურუნგალიდან თეთნულდამდე ა. ნემსიწვერიძე (გუნდის კაპიტანი), სახელგანთქმული მთამსვლელი, შხელდა-უშბის ტრავერსის მონაწილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. გვარლიანი, ჩვენი ალპინისტური ახალგაზრდობის შესანიშნავი და ნიჭიერი წარმომადგენელი გ. გულბანი, საქართველოს ახალგაზრდა მთამსვლელთა საუკეთესო წარმომადგენლები ს. ცაიშვილი, დიმიტრი და სოზარ გუგავები, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, ჯ. მეძმარიაშვილი, ა. ქავთარაძე, დ. ყანდარელი, ჩვენთან იყვნენ დიდი მთამსვლელური ალღოსი და გამოცდილების მქონე სპორტის ოსტატი ლ. სუჯაშვილი, ენერგიული გ. ყალბეგიშვილი, მთებში ნაწრთობი ა. იაშვილი, გ. თიკანაძე და სხვ.

მთამსვლელებს არ ჰყავთ აუდიტორია, ერთადერთი საშუალება რომლითაც საზოგადოებრიობა ექსპედიციის მსვლელობას ეცნობა, წარმოიდგენს ასვლების მთელ სიძნელეს — ეს არის კინო. ამიტომ ზემდგომმა ორგანოებმა გადაწყვიტეს გადაეღოთ ორნაწილიანი ფერადი კინოფილმი. ამ მიზნით ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის კინოსტუდიის ოპერატორები ბ. კრეპსი და ო. დეკანოსიძე. ერთიცა და მეორეც საკმაოდ გამოცდილი მთამსვლელები არიან (თბილისის კინოსტუდიის ფილმები ალპინიზმის შესახებ მათი გადაღებულია), ექიმად მოვიწვიეთ ქირურგი-მთამსვლელი თ. ახმეტელი.

ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ალპურმა კლუბმა მოიწვია აგრეთვე მოსკოველი მთამსვლელები, სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. კუზმინი და ა. სუსლოვი. კუზმინი ექსპედიციის მწვრთნელი იყო.

◆

ო. გიგინეიშვილი,

ექსპედიციის უფროსი.

◆

ამგვარად დაკომპლექტებული ჯგუფი ჩვენ საშუალებას გვაძლევდა გვეცადა, სიახლე შეგვეტანა სიმაღლოვანი მწვერვალების დაპყრობაში. საქმე იმაში იყო, რომ ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ერთგვარი დასპეციალება მოხდა ალპინიზმში. ნაწილი უმთავრესად პამირისა და ტიანშანის მაღალ მწვერვალებს იპყრობდა და ძირითადად ისეთ მწვერვალებზე ახდენდა ასვლებს, რომლებიც ტექნიკურ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მეორე ნაწილი კი შედარებით დაბალ, მაგრამ ტექნიკურად რთულ მწვერვალებზე ადიოდა. ბუნებრივია, რომ სიმაღლოვანი მთების დაპყრობის პირველ ეტაპზე არ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ამოცანა, რომ ასვლები მომხდარიყო ერთდაიმავე დროს 6.000 მეტრზე მაღლა და ამავე დროს ტექნიკურად რთულ მწვერვალებზე. ეს მომავლის საქმე იყო, და ამგვარი ამოცანა მოითხოვდა სიმაღლოვან მწვერვალებზე ასვლის ტექნიკისა და ტაქტიკის განვითარებას ჰიმალაის, ყარაყორუმის, ჰინდიკუშისა და კუენ-ლუნის ქედებზე, სადაც მოთავსებულია ჩვენი პლანეტის სიმაღლოვანი მწვერვალების უმრავლესობა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ დაეპყროთ ასასვლელად ტექნიკურად რთული და ამავე დროს სიმაღლოვანი მწვერვალი. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ალპინიზმის განვითარების იმ დონეზე, რომელიც საბჭოთა კავშირშია, სრულიად მომწიფებულია ერთსადაიმავე დროს რთულსა და მაღალ მწვერვალზე ასვლის საკითხი. ამასთან ერთად, დარწმუნებული ვიყავით, რომ ექსპედიციის პირად შემადგენლობას, რომელიც ფაქტიურად რესპუბლიკის მთამსვლელთა ნაკრებ გუნდს წარმოადგენდა, შეუძლია ასეთი ამოცანის გადაწყვეტა.

პამირი არ არის ერთი ქედი. ეს არის ქედების მთელი სისტემა. ამ ქედებიდან ჩვენი ექსპედიციის სამოქმედო რაიონად შევარჩიეთ შახდარის (ვახანის) ქედი, რომელიც საბჭოთა პამირის უკიდურეს სამხრეთ ფრთაზე მდებარეობს და გადაჭიმულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ჰინდიკუშის ქედის პარალელურად. ეს ქედი საინტერესოა იმით, რომ მასზე მხოლოდ ერთხელ იყვნენ მთამსვლელები, სახელდობრ 1950 წელს. (სპორტის დამსახურებული ოსტატის ევგენი აბალაკოვის ჯგუფი). ამ ჯგუფმა მაშინ მოახდინა ასვლა კარლ მარქსის სახელობის მწვერვალზე (6.726) და დაზვერა ფრიდრიხ ენგელსის მწვერვალი. ევგენი აბალაკოვის ჯგუფის წევრებმა ამ ორ მანამდე უსახელო მწვერვალს უწოდეს მარქსისა და ენგელსის სახელი. ენგელსის მწვერვალის დაზვერვას მაშინ შედეგი არ მოუცია. ამ ექსპედიციამ ისე დასტოვა შახდარის ქედი, რომ ენგელსის მწვერვალზე ასვლის შესაძლებელ გზას ვერ მიაგნო და მასზე ასვლა მომავლის საქმედ აღიარა. მარქსის მწვერვალის გარდა ქედის დანარჩენ მწვერვალებზე ჯერ არავინ იყო ასული და მათ შორის უმრავლესობას სახელიც არ ჰქონდა მიკუთვნებული.

ივლისის შუა რიცხვებში მზადება ექსპედიციის გასამგზავრებლად დამთავრდა.

28 ივლისს დილით ექსპედიციის გასაცილებლად თბილისის აეროდრომზე შეიკრიბნენ თბილისის სპორტული საზოგადოებების წარმომადგენლები. გულთბილი გამოშვიდობების შემდეგ ვსხდებით თვითმფრინავში. სწრაფად გაიელვეს აზერბაიჯანის ველებმა, კასპიის ზღვამ, თურქმენეთის უდაბნოებმა. ტაშკენტში უნდა გადავმჯდარიყავით მეორე თვითმფრინავში, რომელიც ჩაგვიყვანდა ყირგიზეთის ქალაქ ოშში. ვწუხდით, რომ ეს დაგვაკარგვინებდა ერთ ან ორ დღეს, მაგრამ, მფრინავმა კუჭავამ, რომელიც მართავდა ჩვენს თვითმფრინავს, თანხმობა განაცხადა იმ დღესვე გადავეყვანეთ ქალაქ ოშის აეროდრომზე, თუმცა მას პირადად ოშისაკენ არასდროს უფრენია. საჰაერო ფლოტის სამმართველოს დასტურის შემდეგ თვითმფრინავმა გეზი სამხრეთისაკენ აიღო. სულ მალე ქ. ოშის აეროდრომზე ვიყავით.

ოშში დავრჩით რამდენიმე დღე. აქ უნდა დავამთავროთ საბოლოო მზადება და გავემგზავროთ შახდარის ქედისაკენ პამირის ავტოტრაქტით. შახდარისაკენ ავტომობილებისა და აქლემების გარდა სხვა ტრანსპორტი არ მიდის. ოშიდან შახდარის ქედამდე კი დაახლოებით 700 კილომეტრია.

ოშის დასასვენებელ სახლში კარგად მიგვიღეს. ყველას აინტერესებს სად მივდივართ, რომელ მწვერვალზე ვაპირებთ ასვლას. ჩვენი ჩასვლა დიდ ინტერესს იწვევს იმიტომ, რომ ამ ადგილებს პირველად ეწვია ქართველ მთამსვლელთა ჯგუფი. ჩვენი ჩასვლის შესახებ ცნობები მოათავსეს, როგორც ადგილობრივმა, ისე ყირგიზეთის ცენტრალურმა გაზეთებმა. ოშში შევხვდით ძველ ნაცნობებსაც. აქ ამ დროს იყვნენ უზბეკეთის მთამსვლელები, რომლებიც აპირებდნენ ლენინის სახელობის მწვერვალზე ასვლას. ეს ჯგუფი აქ ხშირი სტუმარია. ამიტომ მათი ხელმძღვანელები სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. რაცეკი და ა. იურასოვი გვხვდებიან როგორც მასპინძლები, დაგვათვალიერებინეს ქალაქი, რომელიც მწვანე ხეივნებშია ჩაფლული.

ბევრი რამ ჩვენთვის უჩვეულო ვნახეთ. ეს არის უპირველეს ყოვლისა ჩაიხანები. ყირგიზი, ტაჯიკი და უზბეკი თავისუფალ დროს ჩაიხანაში ატარებს. სხედან ფეხმორთხმულები, საათობით ბაასობენ და ნელნელა ფიალებით მწვანე ჩაის შეექცევიან. აქვე შეგიძლიათ ისაუზმოთ, გაჭრათ ნესვი და საზამთრო, მიირთვათ ხილი და ბოლოს თუ გჭირდებათ, გაათიოთ ღამე. მწვანე ჩაის სმას ჩვენებიც შეეჩვივნენ და შემდეგ მთებში სიცივესა და ქარბუქში არა ერთხელ უნატრიათ ჩაიხანების უშაქრო მწვანე ჩაი.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გამოგვიყვეს სამი საბარგო ავტომანქანა, რომლებზედაც ძლივს დავტიეთ ჩვენი ბარგი. გარდა იმისა, რომ დიდძალი საჭურველი გვაქვს, თან უნდა წაგველო თითქმის ორი თვის საგზალი. აქ, შახდარის ქედის უდაბნო ფერდობებზე ძნელია რაიმე საკვების შოვნა.

როგორც იქნა, ორ აგვისტოს დავამთავრეთ უკანასკნელი სამზადისი და იმავე დღეს საღამოთი დატვირთული ავტომანქანებით გავემგზავრეთ ქალაქ ოშიდან.

(გაგრძელება იქნება)

• • •

სურათებზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ო. გიგინეიშვილი, ა. ივანიშვილი, ა. ნემსიწვერიძე, მ. გვარლიანი კ. კუზმინი, გ. გულბანი, ლ. ახვლედიანი, ჯ. მეძმარიაშვილი, ზ. ახვლედიანი; ქვევით ენგელსის სახელობის მწვერვალი.

მეგობართა შორის

პამირის ექსპედიციამ საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებრიობას დაანახა, რომ საქართველოს ალპინისტები უძლიერესნი არიან ჩვენს დიად სამშობლოში. შახდარის ქედის უმაღლესი მწვერვალები, მათ შორის დღემდე აუღებელი ენგელსის მწვერვალი, დამორჩილდნენ საქართველოს სპორტსმენთა ურყევ ნებას.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის შესანიშნავი თვისება, რომელიც საქართველოს ალპინისტებს ახასიათებთ — ეს არის მეგობრობა, ერთმანეთისადმი მტკიცე სიყვარული. ამან, რასაკვირველია, დიდი წვლილი შეიტანა ექსპედიციის სახელოდ დაგვირგვინებაში. მე თავს ვგრძნობდი მათთან, როგორც უახლოეს და უგულითადეს მეგობრებთან. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყოველი მათგანი სიცოცხლეს არ დაიშურებდა ჩემთვის და მეც მზად ვიყავი ყოველი მათგანისათვის დამედო თავი თუ ამას საჭიროება მოითხოვდა.

მინდა აღვნიშნო გვარლიანის, გულბანის, ნემსიწვერიძის, ახვლედიანის, მეძმარიაშვილის და სხვათა ვაჟკაცობა. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ალპინისტებს შესწევთ უნარი შეექიდონ და დაიპყრონ მსოფლიოს სხვა უძნელესი და უმაღლესი მწვერვალები.

კ. კუზმინი,

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ექსპედიციის მწვრთნელი, ალპინისტთა საკავშირო სექციის თავმჯდომარე.

ვ. საღლიანი

ლაპარაკობენ მთამსვლელები!

ჯავრობს პირქუში ქედი ვახანის,
ბნელდება, ნისლი ჩამოწვა ბინდად...
უკვე დავყავით მთებში რა ხანი
და მაინც მთებთან ჭიდილი გვინდა...
ღრუბლებმა ცეცხლის ფრთები
შეისხა
და არწევს პამირს ქარიშხლის
ღელვა,
ჩვენი ხუნწქვა და ჩვენი ფეხის ხმა
აყრუებს ნისლში მთვლემარე
მწვერვალს.
ზვავი გაბედა, მთა გამძვინვარდა,
ზეცას ფატრავენ ელვის ისრები;
მეხი გრუხუნებს და ქარს
მეწყვართან
დატყვევებულნი მოჰყავს
ნისლები.

ეს ქარი ასე რამ გააცხარა,
ანდა შახდარზე რად ჩამობნელდა?
ჩვენ ფეხქვეშ გვაგო უშბა და
შხარა
და შევუმღერეთ კლდე-კარი
შხელდას;
ამ ღალატიან, უგულო მთასაც
გავარღვევთ, გავჭრით ყინულის
ყაირს;
ჩვენი ყიჟინა და ჩვენი ვაშა
ხვალ გრიგალებად გადუვლის
პამირს...
ხმა დაიდუმე ქარო აშარო,
შეხსენი მყინვარს ღრუბლის
გუნდები,
მწვერვალზე დროშა რომ არ
გავშალოთ
ისე თბილისში არ დავბრუნდებით.

სსრ კავშირის თასზე

ამ დღეებში შედგა მორიგი მატჩები სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში.

დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა შეხვედრა ლვოვში ადგილობრივი ოფიცერთა სახლისა და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდებს შორის. არმიელებმა ძლიერი მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით — 3:2.

22 სექტემბერს დნეპროპეტროვსკში თამაშობდნენ ლენინგრადის ოფიცერთა სახლის გუნდი და დნეპროპეტროვსკის „მეტალურგი“. „მეტალურგმა“ მოწინააღმდეგე დაამარცხა ანგარიშით 2:1 და გავიდა ნახევარფინალში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ა“ კლასის 13 გუნდიდან თასის გათამაშებაში 7 გუნდი დამარცხების გამო ტურნირიდან გავიდა. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო გასული წლის თასის მფლობელი მოსკოვის „დინამო“.

უკანასკნელი შეხვედრები

დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის მიმდინარე წლის პირველობის გათამაშება „ბ“ კლასის გუნდებს შორის. ქვეჯგუფებში გუნდების უმეტესობას თითო შეხვედრა დარჩათ.

უკანასკნელ ტურში პირველი ქვეჯგუფის გუნდებს შორის ერევნის „სპარტაკმა“ ალმა-ატაში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და გათამაშებას სათავეში ჩაუდგა. გუნდს 42 შესაძლებლიდან მოგროვილი აქვს 34 ქულა. ერევნელებს ერთი ქულით ჩამორჩებიან ბაქოს „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელები. უკანასკნელ შეხვედრაში აშხაბადის „სპარტაკმა“ მოუგო სვერდლოვსკის „ავანგარდს“ (2:0), ტაშკენტის „სპარტაკისა“ და ჩელიაბინსკის „ავანგარდის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

მეორე ქვეჯგუფში პირველი ადგილი უკვე გაინაღდა მოსკოვის „ზენიტმა“, რომელმაც 33 ქულით (44 შესაძლებლიდან) დაამთავრა შეჯიბრება. მან ბოლო შეხვედრაში ანგარიშით — 1:0 დაამარცხა რიგის „დაუგავა“. ვილნიუსის „სპარტაკს“, რომელიც ჯერჯერობით მეორე ადგილზეა, უკანასკნელი შეხვედრის წინ მოგროვილი აქვს 30 ქულა.

სტალინოს „შახტიორმა“, რომელიც მესამე ჯგუფში თამაშობს, უკვე მოიპოვა პირველი ადგილი და ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობის უფლება. უკანასკნელ შეხვედრაში სტალინოს ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:0 მოუგეს კიევის ოფიცერთა სახლის გუნდს და 36 ქულა შეაგროვეს.

დღეს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე

არის ეგრეთწოდებული „ისტორიული მატჩები“, რომელთა მნიშვნელობა მეტად დიდია ფეხბურთის განვითარებაში. ასეთი მატჩი შედგება დღეს, 16 საათზე მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის პირველ ნაკრებ გუნდებს შორის. ამავე საათებში ბუდაპეშტის სახალხო სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და უნგრეთის მეორე ნაკრები გუნდები.

ეს ორი მატჩი უდიდეს ინტერესს იწვევს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში და დემოკრატიულ უნგრეთში. მთელი სპორტული მსოფლიო ელის ამ შეხვედრებს. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის დირექციამ დიდი რაოდენობით მიიღო დაკვეთები ბილეთებზე უცხოეთიდან.

უნგრელ ფეხბურთელთა პოპულარობა დიდი ხანია შორს გასცდა თავისი ქვეყნის ფარგლებს. უნგრეთის ნაკრები გუნდი გამოდიოდა ევროპის, ამერიკის, აფრიკისა და აზიის სტადიონებზე და გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა. უნგრეთის ნაციონალური ნაკრები ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია არსებობს და ამ ხნის მანძილზე ჩაატარა 307 ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრა. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე უნგრელებმა მხოლოდ ორი შეხვედრა წააგეს — 1952 წელს მოსკოვის ნაკრებთან და ახლახან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.

უნგრელები ოლიმპიური ჩემპიონები არიან. თითქმის ყოველი მათი მატჩი ტრიუმფალური გამარჯვებით მთავრდება, ასეთი იყო მათი შეხვედრები ინგლისთან (6 : 3 და 7 : 1), მსოფლიო პირველობაზე შვეიცარიაში, სადაც უნგრელებმა ბრაზილიისა და ურუგვაის უძლიერესი გუნდები დაამარცხეს და მხოლოდ ფინალური მატჩი წააგეს დასავლეთ გერმანიასთან. საზღვარგარეთული პრესა ათასგვარ სარჩულს უდებდა ამ ფინალურ მატჩს და შემთხვევითობით ხსნიდა უნგრელთა დამარცხებას. მეტად საინტერესოა დასავლეთ გერმანიის ნაკრების მწვრთნელის განცხადება, რომელიც მან ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე გააკეთა ერთ-ერთ გაზეთში: „უნგრელთა უძლიერესი ადგილი — კოჩიში-პუშკაში—შეიძლება მათივე სუსტ ადგილად იქცეს. საჭიროა ამ ორი შუამარბის ჩაკეტვა. ნახევარმცველებმა მათ უბოდიშოდ, დაუზარებლად უნდა სდიონ ფეხდაფეხ, მკიდროდ ეთამაშონ ბურთის მიღებამდე და მისი მიღების მომენტში, თორემ თუ კოჩიშმა ან პუშკაშმა თავი გაინთავისუფლეს, დარტყმული ბურთი არავითარ შემთხვევაში არ აცდება კარს“.

უნგრელი ფეხბურთელები საგანგებოდ ემზადებოდნენ სსრ კავშირის გუნდთან შეხვედრისათვის. ინტენსიური წვრთნა სისტემატურად წარმოებდა, გათვალისწინებულ იქნა შვეიცარიის ფინალურ მატჩში დაშვებული შეცდომები. უნგრელთა სიფხიზლე კიდევ უფრო გაამახვილა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა გამარჯვებამ შვეციის გუნდთან დიდი ანგარიშით — 7 : 0. (როგორც ცნობილია, გასულ წელს შვედების შეხვედრა უნგრელებთან ბუდაპეშტში დამთავრდა ფრედ — 2 : 2).

მსოფლიო პირველობის შემდეგ უნგრელთა ნაკრებმა ცვლილება განიცადა. მასში შეყვანილ იქნა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი. უნგრულ პრესაში 21 სექტემბერს გამოქვეყნებულ იქნა გუნდის შემადგენლობა, რომელიც დღეს ითამაშებს მოსკოვში: მეკარე — გროშიჩი; დაცვა — ბუზანსკი, ლორანტი, ლანტოში; ნახევარდაცვა — ბოჟიკი, კოტასი; თავდასხმა — ბუდაი, კოჩიში, ჰიდეგკუტი, პუშკაში, ფელვეში. სათადარიგო მოთამაშეებია კომარომი, ვარჰიდი, სოიკა და პალოტაში. ვეტერანებიდან შემადგენლობაში არ არიან ზაქარიაში, ციბორი და ტოტი. არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ისინი ბუდაპეშტში ითამაშებენ მეორე გუნდის შემადგენლობაში. რა თქმა უნდა, მოსალოდნელია ცვლილებანი, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როგორც ეს წესად აქვთ უნგრელებს. ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს რომ სტუმრებს საერთაშორისო შეხვედრების უდიდესი გამოცდილება აქვთ. ნაკრები გუნდის შემადგენლობაში გროშიჩმა ჩაატარა 37 მატჩი, ბოჟიკმა — 44, პუშკაშმა — 59, ჰიდეგკუტიმ და კოჩიშმა — 42, ბუდაიმ — 28 და ა. შ.

უნგრელები ამჟამად შესანიშნავ ფორმაში არიან. ამას ცხადად მოწმობს პირველი ნაკრების გამარჯვება რუმინეთზე ანგარიშით 5 : 1. ეს მატჩი შედგა 19 სექტემბერს.

სსრ კავშირის სავარაუდო შემადგენლობაში 10 მოსკოველი და ერთი თბილისელია. ესენი არიან: მეკარე — იაშინი; დაცვა — ტიშჩენკო, ბაშაშკინი, კუზნეცოვი; ნახევარდაცვა — პარამონოვი, ნეტო; თავდასხმა — ტატუშინი, ლოლობერიძე, სიმონიანი, სალნიკოვი, ილინი.

მატჩს სჯის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ელისი (ინგლისი). გვერდითი მსაჯებად იქნებიან საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები ნიუბერგი (ფინეთი) და მაცკო (ჩეხოსლოვაკია).

იწარმოებს ორივე ტაიმის რადიოტრანსლაცია რამდენიმე ენაზე.

ამ დღეებში ერევნის „დინამოს“ მოტოციკლისტებმა მოაწყვეს გადარბენა მარშრუტით: ერევანი-თბილისი-გორი-ერევანი. ერევნელმა სპორტსმენებმა გორში დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა. თბილისში სტუმრები გაეცნენ ღირსშესანიშნავ ისტორიულ ძეგლებსა და ახალმშენებლობებს.

სურათზე: ვ. ზახარიანი (ერევანი) და ვ. ნავრუზაშვილი ერთმანეთს გადასცემენ სამახსოვრო ალმებს.

ფოტო მ. ზარგარიანისა

საჭადრაკო საღამო ქარელში

ქარელის ფიზკულტურის კომიტეტისა და კომკავშირის რაიკომის ინიციატივით 19 სექტემბერს რაიონის კულტსახლში მოეწყო საჭადრაკო საღამო. ქარელის ჭადრაკის მოყვარულთ თბილისიდან მიწვეული პირველთანრიგოსანი ნ. ბახტაძე ესაუბრა მ. ბოტვინიკ-ვ. სმისლოვის მატჩის შესახებ. მომხსენებელს ბევრი შეკითხვა მისცეს, რომელზედაც მან ამომწურავი პასუხი გასცა. შემდეგ გაიმართა 21 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსი. ქარელის მოჭადრაკეებმა ნ. ბახტაძეს ოთხი პარტია მოუგეს, ორი ყაიმით დაამთავრეს და 15 წააგეს. ლექციამ და სეანსმა ქარელელ ახალგაზრდობაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

თ. კლიმიაშვილი

კეთილმოწყობილ სპორტულ მოედნებზე

თიანეთის რაიონის სოფელ ნაქალაქრის რვაწლიან სკოლაში მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენდნენ ფიზკულტურა და სპორტისადმი, მაგრამ ნაყოფიერ მეცადინეობას ხელს უშლიდა სპორტული მოედნების უქონლობა. გასულ სასწავლო წელში სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლად მუშაობა დაიწყო გ. სუარიშვილმა, რომელმაც თავი გამოიჩინა, როგორც საქმის კარგმა მცოდნემ. გ. სუარიშვილმა ენერგიული მუშაობა გაშალა სკოლის სპორტული ბაზის მოსაწყობად, რომელშიც მას ეხმარებოდნენ სპორტისმოყვარე მოსწავლეები.

ამჟამად სკოლას აქვს ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები. ტანვარჯიშული ბაქანი, მძლეოსნობის სექტორები. შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობენ სპორტის სხვადასხვა სახეობათა სექციები, რომლებშიც სისტემატურად მეცადინეობს მრავალი მოსწავლე.

ა. ქუშხეველი

საკოლმეურნეო ცირკში

ზემო ხოდაშნის საკოლმეურნეო ცირკში ჩატარდა რაიონის ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ ოჟიოს, ახალდაბის, ზემოხოდაშნის კოლმეურნეობისა და აწყურის საშუალო სკოლის მოსწავლე-მოჭიდავეთა გუნდები.

შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა აწყურის საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდი, რომელთა შორის კარგი ტექნიკა გამოამჟღავნეს და პირადი პირველობა მოიპოვეს ლ. ჩიკვილაძემ, ი. ქოჩიშვილმა, გ. ქოჩიშვილმა, რ. ხუგაშვილმა და გ. მეზვრიშვილმა.

მეორე ადგილზე გამოვიდა ოჟიოს კოლმეურნე მოჭიდავეთა გუნდი.

შეჯიბრებას სჯიდა საქართველოს ხუთგზის ფალავანი ზ. ბაკურაძე.

ს. შეშაბერიძე

ძალოსნობაში მსოფლიო პირველობის წინ

◆

საზღვარგარეთული პრესის მიმოხილვა

◆

სულ მალე ავსტრიის დედაქალაქში — ვენაში დაიწყება მიმდინარე სპორტული სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა — მსოფლიო ჩემპიონატი სიმძიმეების აწევაში.

მსოფლიო ძალოსნურ სარბიელზე ომისშემდგომ წლებში მკაფიოდ გამოისახა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ძალოსანთა აშკარა ჰეგემონია. ყოველ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბრძოლა პირველობისათვის ძირითადად ამ ორი ქვეყნის ატლეტებს შორის მიმდინარეობს. 1946 წლის მსოფლიო პირველობაზე გამარჯვებული გამოვიდნენ ამერიკელი შტანგისტები, ხოლო მეორე ადგილი დაიკავა სსრ კავშირის გუნდმა. 1950 წელს პირველ ადგილზე კვლავ აშშ-ს გუნდი გამოვიდა. ამ შეჯიბრებაზე ეგვიპტელმა ძალოსნებმა უკანასკნელად „მოიქნიეს კუდი“ და მეორე ადგილი დაიკავეს. იყო დრო, როცა ეგვიპტელებს ჰყავდათ ისეთი ატლეტები, როგორც იყვნენ ელ-ტუნი და მახგუბი. ისინი 10 მსოფლიო რეკორდს ფლობდნენ. შემდგომში ამ ქვეყნის ძალოსნები ერთ ადგილზე გაიყინენ და დიდად ჩამორჩნენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დონეს.

1953 წელს მსოფლიო ჩემპიონატი სტოკჰოლმში ჩატარდა. ამერიკელები ვარაუდობდნენ, რომ სულ ცოტა 5 წონით კატეგორიაში მაინც დაიკავებდნენ პირველ ადგილს, ხოლო გუნდურ გამარჯვებაში ეჭვიც არ ეპარებოდათ, მაგრამ ამერიკელებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. საბჭოთა ძალოსნებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს ჩემპიონატი: 3 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და 25 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. აშშ-ს გუნდმა 22 ქულა დააგროვა. მესამე ადგილზე გამოსულ ეგვიპტელებს სულ 8 ქულა ჰქონდათ.

იმ ქვეყნებში, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მომავალ ჩემპიონატში, ამჟამად გაცხოველებული მზადებაა. მსოფლიოს უძლიერესი ძალოსნები უკანასკნელად ამოწმებენ თავის მზადყოფნას პირველობისათვის.

საგანგებოდ ემზადებიან ვენის ჩემპიონატისათვის კანადელები. მაგრამ მთელი მათი მზადება ფაქტიურად ამოიწურება მათი ფენომენალური შტანგისტის დუგლას ხეპბურნის მზადებით. კანადას მძიმე წონაში ერთი მოძრაობა უეჭველად განაღდებული აქვს — ხეპბურნს აჰიმვაში ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი — 172,5 კგ. მან სპორტული მსოფლიო განაცვიფრა შვეიცარიაში თავისი გასტროლების დროს, როცა ღიმილით აჰიმა ჯერ 155, მერე — 165 და 170 კილოგრამი. დამსწრენი თვალებს არ უჯეროდნენ, როცა ხეპბურნმა მოითხოვა წარმოუდგენელი წონა — 190 კგ და აჰიმა იგი წესების სულ მცირე დარღვევით. ვარჯიშის დროს დაზგაზე წოლით მდგომარეობაში კანადელს ძალუძს აჰიმოს კოლოსალური წონა — 254 კილოგრამი. მაგრამ კანადელი მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალს ალბათ ვერ მიიღებს. იგი კოჭლია, დაზიანებული აქვს მუხლის სახსარი და უჭირს ისეთი ტემპიანი მოძრაობების შესრულება, როგორიცაა ატაცი და აკვრა. ხეპბურნი იწონის 124 კილოგრამს, სიმაღლე აქვს 175 სანტიმეტრი, მისი მკლავის გარეშემოწერილობა 54 სანტიმეტრს უდრის, კისრისა — 47-ს, მკერდისა — 143-ს თეძოსი — 76 სანტიმეტრს. მას მკლავზე კუნთების ისეთი გროვა აქვს, რომ უჭირს მისი მოხვრა.

განსაკუთრებით დაძაბული მზადებაა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქვემძიმე წონაში დიდ წარმატებებს მიაღწია ახალგაზრდა დ. შეპარდმა, რომლის შედეგები მჭიდროდ მიუახლოვდა განთქმული ამერიკელი შტანგისტის ნ. შემანსკის შედეგებს. ამჟამად ძნელიცაა იმის თქმა, თუ ვინაა უფრო ძლიერი შეპარდი თუ შემანსკი. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა საშუალო წონაში, სადაც ტ. კონო მწვავე კონკურენციას უწევს ს. სტანჩიკს.

ლოს-ანჟელოსში დამთავრდა აშშ-ს პირველობა სიმძიმეების აწევაში. როგორც ყოველთვის, ამერიკელები ძლიერ სუსტად გამოიყურებიან მსუბუქ წონებში. მჩატე წონაში ჩემპიონი გახდა ჩ. ვინჩი, ერთობ მოკრძალებული შედეგით სამჭიდის ჯამში — 280 კგ. ქვემსუბუქ წონაში ი. კუძუხარამ აჩვენა 310 კგ. მსუბუქ წონაში უწინ გამოდიოდნენ ტ. კონო და პ. ჯორჯი, მაგრამ პირველმა საშუალო წონაში გადაინაცვლა, მეორემ — ქვესაშუალოში და ახალმა ჩემპიონმა ჯ. პიტმენმა ამ კატეგორიაში დააგროვა 342,5 კგ. რა თქმა უნდა, ასეთი შედეგებით ამერიკელები შორს ვერ წავლენ. ასევე დაბალი შედეგი აქვს ქვესაშუალო წონაში ბ. ელიოტს — 347,5 კგ. როგორც მოსალოდნელი იყო, საშუალო წონაში დუელი გაიმართა კონოსა და სტანჩიკს შორის, მაგრამ სტანჩიკმა ვერ აჰკრა საწყისი წონა და დამარცხება განიცადა. გაიმარჯვა კონომ — 422,5. ქვემძიმე წონაში ჩემპიონობა ადვილად მოიპოვა შეპარდმა, რომლის შედეგია 442,5 კგ. მძიმე წონის ძალოსანთა შორის არ გამოდიოდა მსოფლიო რეკორდსმენი ანდერსონი და ჩემპიონის წოდება კარგი მაჩვენებლით (475 კგ) მოიპოვა შემანსკიმ. მანვე დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი ორი ხელით აკვრაში — 189,3 კგ.

ჩემპიონატის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყო შეჯიბრება, სადაც ვინჩიმ, კუძუხარამ, პიტმენმა, შეპარდმა და შემანსკიმ ოდნავ გააუმჯობესეს თავისი შედეგები.

ბოლო ხანებში კარგი შედეგები აქვთ დასავლეთ გერმანიის ძალოსნებს, რომელთა შორის მძიმე წონაში გამოირჩევიან გ. შატნერი და ტ. ალდერინგი. წონითი კატეგორიების მიხედვით საუკეთესო შედეგები აქვთ ი. შუსტერს — 285 კგ, გ. ბრესლეინს — 300 კგ, ი. იუნკესს — 330 კგ, ტ. ლეუტეს — 355 კგ. ე. ტრატელს — 347,5 კგ, გ. რუდერსჰაუზენს — 365 კგ, შატნერსა და ალდერინგს — 437,5 კგ.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 15434